ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4565783

ნომერი: AR1688808

თარიღი : 18.06.2019

გაცემის თარიღი : 28.06.2019

გაცნობის თარიღი : 28.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა, N 35/52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ელიზბარაშვილი პ/ნ 01002011119
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 1 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18

ივნისს NAR1688808 განცხადებით მომართა დავით ელიზბარაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა, N 35/52; კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.13.06.015.014), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 იანვრიდან 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებით შეტანმხებული არქიტექტუტული პროექტის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, +0.00, +6.60 და +10.500 ნიშნულის გეგმებზე კომერციულ ფართებზე მითითებულია ოფისი, ხოლო +101.05 ნიშნულის გეგმაზე განორჩენილია დამხმარე ფართობის (37.9 კვ.მ) დაფიქსირება. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +0.00, +6.60, +10.50 და +101.05 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4322102 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.